ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №53

2015 წლის 25 მაისი,
ქ. ბათუმი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე და 23-ე მუხლების, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 და მე-40 მუხლების და წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გამოცხადდეს ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები;
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს 2015 წლის 27 მაისიდან 2015 წლის 15 ივნისის ჩათვლით პერიოდში, ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, ოთახი N4), შაბათ–კვირისა და უქმე დღეების გარდა, 10 სთ–დან 16 სთ–მდე;
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებს: ჰქონდეს უმაღლესი განათლება, არანაკლებ 5 წლის სამუშაო გამოცდილება და სამოქმედო გეგმა;
4. კანდიდატმა ბსუ-ს სარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინოს:
   ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (პირადობის მოწმობასთან ერთად);
   ბ) 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით ¾;
   გ) ავტობიოგრაფია (CV)
   დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
   ე) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან/ ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ;
   ვ) სამოქმედო გეგმა;
5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურა აკადემიური საბჭოს მიერ შეირჩეს და წარედგინოს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 23 ივნისს.
6. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს განცხადება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**